საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

10 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის 52–ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები. თბილისის დინამოელები ლენინგრადში შეხვდნენ ადგილობრივ "ზენიტს".

"ზენიტი" (ლენინგრადი) – "დინამო" (თბილისი) 0:0.

ლენინგრადი. კიროვის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 11 ივლისი.

"ზენიტი", ბირიუკოვი, ივანოვი, სტეპანოვი, ვორობიოვი, აფანასიევი, ლარიონოვი, ბარაკინი, დანილოვი, რადჩენკო, სუხანოვი (ჟელუდკოვი), მატვეევი (ვედენეევი).

"დინამო" გაბელია, ჩიქოვანი, აფციაური, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე, ცვეიბა, ქეცბაია, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს კ. გოგიჩაიშვილი.

დუბლიორები – 1:0.

მეტოქეები პირველი ტურის მატჩში სულ ახლახან, 2 ივლისს შეხვდნენ ერთმანეთს თბილისში. მაშინ დინამოელებმა ყველა კომპონენტში სძლიეს მეტოქეს. განმეორებით, მეორე წრის შეხვედრაში. "ზენიტის" ფეხბურთელებს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდათ. გუნდი მე–15 ადგილზეა და უმაღლესი ლიგის დატოვების ერთ–ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება. ამიტომაც ვვარაუდობდით, რომ "ზენიტის" ფეხბურთელები ყველა თავის შესაძლებლობას სრულად გამოიყენებდნენ გამარჯვების მისაღწევად, უნდა ითქვას, რომ მათ ძალღონე არ დაიშურეს, რათა თავისი მოკრძალებული სატურნირო ბალანსი 2 ქულით შეევსოთ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რაშიც პირველ ყოვლისა, ბრალი დინამოელებს მიეძღვნათ, რომლებმაც საშუალება არ მისცეს მასპინძლებს მოედნის ბატონ–პატრონები გამხდარიყვნენ. მეტიც, ჩვენი ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, მათ ეს შეხვედრა ძლიერად და მობილიზებულად წარმართეს, და თუ მასპინძლებმა ქულა აიღეს ამ მატჩში, ეს რა თქმა უნდა, "ზენიტის" მეკარის მ. ბირიუკოვის დამსახურებაა.

შეხვედრის პირველი ნახevარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ფეხბურთელები გაშლილად და სახიფათოდ უტევდნენ. 22–ე წუთზე ოთარ გაბელიას მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა მოუხდა ახლო მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთის მოსაგერიებლად სამი წუთის შემდეგ უკვე ქეცბაიას ჰქონდა თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ ამჯერად ბირიუკოვი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. პირველ ნახevარი მეტოქეთა ცდას, გაეხსნათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია.

შესვენების შემდეგ თამაში თბილისელთა სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა. მათი შეტევები სულ უფრო სახიფათოთ გახდა. "ზენიტის" მცველები და მეკარე ხშირად ერთვებოდნენ თამაშში და რის ვაივაგლახით ახერხებდნენ თავისი კარის უვნებელყოფას. ლენინგრადელთა მწვრთნელმა თამაში ახალი ძალები შემოიყვანა, თავდამსხმელი მავეევი ნახevარმცველით შეცვალა, და ეს გასაგებიცაა, რადგან გუნდს ქულის გადასარჩენად დარჩენილ დროში ყველა ღონე უნდა ეხმარა. დინამოელები კი არ ცხრებოდნენ. მარტო ერთი წუთის განმავლობაში თბილისელებს ორჯერ შეეძლოთ დაწინაურება. ერთ–ერთ ეპიზოდში გოგიჩაიშვილმა, რომელიც საუკეთესო იყო მოედანზე, ვერ გამოიყენა კარის აღების რეალური შესაძლებლობა. სტუმრებმა დარჩენილ დროში თამაში კონტრშეტევებზე წარმართეს, შეხვედრის მიწურულს თბილისელთა კარი ძელმა იხსნა.

თამაში დამთავრდა. თბილისელებმა გასვლით მატჩში ქულის აღება შესძლეს, არადა, ოდნავი სპორტული იღბალი (წლეულს უკვე მერამდენედ) მათ მხარეს რომ ყოფილიყო, სტუმრები ორ ქულას ჩაიწერდნენ თავის აქტივში. ამ შეხვედრაში ავადმყოფობის გამო არ უთამაშია თბილისელთა ცენტრალურ მცველს კ. ცხადაძეს, მიუხედავად მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელების არყოფნისა, დინამოელებმა დაამტკიცეს, რომ მეტოქის მინდორზეც შეუძლიათ ბრძოლა.

"ლელო" 12 ივლისი 1989 წ.